

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი _____ ოქტომბერი 2021 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 ერთეული ავტობუსი: 1) მარკა - ISUZU; მოდელი-CITIBUS; საიდენტიფიკაციო ნომერი - NNAM0BULT02002140, გამოშვების წელი - 2021; სარეგისტრაციო ნომერი - UU354SU; საბალანსო ღირებულება - 494232 ლარი; 2) მარკა - ISUZU; მოდელი-CITIBUS; საიდენტიფიკაციო ნომერი - NNAM0BULT02002134, გამოშვების წელი-2021; სარეგისტრაციო ნომერი - UU356SU; საბალანსო ღირებულება - 494232 ლარი; 3) მარკა - ISUZU; მოდელი-CITIBUS; საიდენტიფიკაციო ნომერი - NNAM0BULT02002148; გამოშვების წელი - 2021; სარეგისტრაციო ნომერი- UU362SU; საბალანსო ღირებულება - 494232 ლარი; 4) მარკა - ISUZU; მოდელი-NOVOSITI LIFE; საიდენტიფიკაციო ნომერი - NNAM0BFLAGB000877, გამოშვების წელი - 2021; სარეგისტრაციო ნომერი - UU351SU; საბალანსო ღირებულება - 422715 ლარი, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო დონისძიებების გატარება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს მიერ გადმოცემული 4 ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. საკითხთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ შორის განხორციელდა მიმოწერები. შესაბამისად, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ 2021 წლის 08 ოქტომბრის №10.14212813 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა 4 ერთეული ავტობუსი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნული 4 ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, შემდგომში შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-სათვის გადასაცემად.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის 4 ავტობუსის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე